

საბჭოთა კრონიკაზე ისტარი მოძღვის რეპორტის ცალკეული [რაზე კომუნისტის „კომუნისტის“ 1936-1937 წე. სახაზე ცნო]

**SOME ASPECTS OF THE SOVIET PROPAGANDA MODEL (NEWSPAPER LANGUAGE
OF THE NEWSPAPER “COMMUNIST” IN 1936-1937).**

**რუსული კონფერენცია
მკლევარი, საბჭოთა წარსელის კვლევის დამორჩილი**

**Rusudan Kobakhidze
Researcher, Soviet Past Research Laboratory**

Summary

The article deals with the Soviet totalitarian language, several characteristic aspects of the communist newspeak.

The research is based on the material of the newspaper “Communist”, published in 1936-1937, the main body of the Georgian Soviet ideological press. So far as is known, this newspaper was intended to deliver “main messages” to the Georgian public and aimed to form or “correct” an ideological line. This is the period during which the Soviet state carries out its greatest terror. The language of the newspaper is one of the key links among the many tools for manipulating consciousness, so the ruling party has operated to give the masses the desired shade of this terror.

The language of the Georgian press was not an independent phenomenon. It is nourished by the ideology of the Union, which, above all, flows from the pages of the newspaper “Pravda”. It faithfully reflects the main trends of the Kremlin propaganda body, in terms of the newspaper’s grid or content. Therefore, we think of considering the Georgian Soviet language in the context of the common Soviet language policy. The lexical or semantic changes that the Russian language undergoes, dig into the body of the Georgian language.

Soviet totalitarian language, as a weapon of violence, was formed on the basis of ideological propaganda. We can say that the concept of Soviet ideological propaganda is based on two main axes: 1. Subordination and 2. faith. Ideological categories are formed on these two concepts, which are indoctrinated in the masses. The dictatorship of the proletariat successfully uses the subordinate structure of autocracy absolutism and similar doctrines of religious belief to strengthen its own positions, although the main message of the ruling party is the abolition of feudal subordination and religious beliefs. The structure remains the same, the characters change – Царь-батюшка is replaced by a great leader, also called “beloved father”, “parent”, religious authorities are replaced by party officials. The words, the opinions, the worldview of the leaders rise to the rank of dogma.

The political language of the Union, which is distinguished by the above-mentioned characteristics, becomes the main determinant of the language of Georgian newspapers. The material

we have studied shows that the linguistic body of the Georgian press accurately reflects the directives of the propaganda machine of the central government.

The binary opposition – “we” and “they”, where “we” has extremely positive content and “they” – extremely negative, is already visible. The Bolshevik dictatorship is distinguished by evaluative categorization, it forms from the beginning a general line, which widens and covers all spheres of life, from close political confrontation (Mensheviks – Bolsheviks) to the correction of actions and style of thinking of the Soviet people.

The language of propaganda had to play a major role in conveying to the masses a Bolshevik-brushed reality. Consequently, the language of the newspaper is part of a strictly defined current which requires precise formulations, strictly defined evaluation criteria, formulating a multitude of slogans and consequently losing their natural expressive function.

A new Soviet vocabulary is produced – superstition, shock worker, stakhanovite

The “sovietization” of lexical units takes place – Competition (Social Competition), Line (General Line). Inseparable ideological pairs are formed: the working class, the Red Army, shock work, the workers. (The working people).

The semantic field of lexical units is ideologically narrowed – Homeland (always considered a socialist homeland), patriotism (Soviet patriotism).

The intervention of such an abundance of ideologemes in the body of language and the frequency of their functioning leads to the compaction of the natural and plain field of language. It appears to be a set of political formulas and stereotypes.

The main focus was on the structural analysis of ideological epithets. In this regard a study of the 1936 and 1937 issues of the newspaper “Communist” showed the following image. The vast majority of epithets present linguistic concepts aimed at establishing a bipolar reality. Almost every person, organization, or event is viewed in the binary context of “positive-negative”, “good-evil”. People / actions / events are divided into “delight/love – hate/disgust” objects. It is extremely rare to refer to a person, action or event without an epithet or ideological marker. However, the extreme valuation forms are mainly used, the usual phenomenon is the use of premium quality, which forms a dichotomy stretched to the maximum, where on one side there is an exaggerated positive and on the other side there is an extreme negative. The timeline is divided into “dark past – prosperous present”, or “bright future – dark past”.

Political reality shows the opposing camps – ”Socialism is land, bread, happiness and wealth. Capitalism is Kabbalah, famine, war and death .

The assessment of current events is divided into two main narratives: “Construction – Spread of harmful elements” – “For the happiness and prosperity of our homeland, the party indiscriminately destroys spy nests, kills nasty pests who violate the happiness and life of the people of the USSR”.

The distribution of time and space in the ideological framework is actively used – “only with us – nowhere”, “today – never”.

We also rarely find relatively soft forms: “active – passive” (communist, Komsomol) and “responsible – irresponsible”.

The central figure of propaganda is Stalin, the great leader of the people, and not Lenin. He is “the great symbol of the victories of socialism, the creation of a prosperous and happy life”. He is considered to be the source of light that illuminates and determines all “good” events. The Secretary General of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union is never mentioned without epithets.

Distinct epithets must be distinguished, which themselves represent ideologues with a strongly defined semantic opposition, which carries a political directive.

Particularly noteworthy are the epithets, which themselves represent ideologemes with a strongly defined semantic opposition which carries a political directive. "Bolshevik", "Communist", "Revolutionary", "Proletarian", "Soviet", "Socialist", "Stakhanovist", "Chekist".

As having a positive context, it opposes negatively charged lexemes: "Menshevik", "White Guardist", "Nationalistic", "Imperialistic".

It is easy to notice that in all categories of epithets the adjectives produced with superior quality, or the vocabulary expressing the extreme situation predominate. This further stretches the thread of the opposing pairs. The vast majority of epithets with positive connotations suit the communist idea and the builders of the state. Negative – obviously the enemies of this state and this ideology.

All that is good, is the best, is great, is the most valuable and the happiest, is distinguished by an ideological mark. The category of "good and evil" is ideologically divided, so one pole is occupied by the advanced Bolsheviks, the other by the anti-Bolsheviks and not by the non-Bolsheviks, this niche is empty.

Everyone and everything that is not involved in the great reconstruction of communism is condemned, is the object of hatred. Automatically – "anti" and therefore "connected to someone".

Opposition pairs are formed:

Mighty / Victorious – Miserable

Lovely – Disgusting

Native – Foreign

Successful – Unsuccessful

Happy – Unhappy

It should be noted that in the positive context, the most productive epithets are "powerful" and "sublime", "Great". This indicates that the main emphasis is on the strength and all-encompassing magnitude, overall extent of Bolshevik rule. Despite their delivery in a positive context, this fact clearly contains signs of directive that is dictated by others and, therefore, psychological pressure.

In general, the frequency of use of the epithets "positive" and "superior" is higher than that of the "negative". Although the positive field vocabulary is rare, it is primitively linear and not diversified, while the negative field vocabulary is characterized by lexical diversity and emotional charge.

The whole image is painted like this: Life under the conditions of great reconstruction is wonderful, all workers are happy, only small foreign elements pose a threat that must be neutralized immediately.

On the other side of the great all-encompassing Soviet Union, there are only "foreign elements", "counter-revolutionary elements". "Sordid, insignificant group" comes out against "Great", and "foreigner" – against "native". The indoctrination of this mood in the masses takes place precisely through the mass intervention of ideological linguistic categories. This offensive intervention in public consciousness creates a virtual reality acceptable to the government – a reality filled with conflicting notions, which makes it easy for the government to gain mass support for unrestricted operation.

After the collapse of the Soviet Union, as we have already mentioned, most of the epithets presented were expelled from the linguistic body – Party ideologemes have naturally disappeared, most of the artistic epithets have been worn and have lapsed; have fallen into disuse, however, in our view, the basic semantic formula – primitive, heavily polarized dichotomy – is still firmly entrenched in public consciousness.

„გაზეთი არა მარტო კოლექტური პროპაგანდისტი და კოლექტური აგიტატორი კი არაა, არამედ კოლექტური ორგანიზატორიცაა“ – ლენინი¹

იდეოლოგიები თავის დამკვიდრებას, გავრცელების არეალის გაფართოებას თუ შენარჩუნებას იდეოლოგიური ენის ჩამოყალიბებითა და გამოყენებით ცდილობს, მის მიერ წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები თუ დამკვიდრებული გრამატიკული ფორმები თვით კონკრეტული იდეოლოგიური დისკურსის გაქრობის შემდეგაც რჩება ენაში. ეს ახალი ენობრივი რეალობა ფეხს იყიდებს და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს.

ავლევა ეფუძნება ქართული საბჭოთა იდეოლოგიური პრესის მთავარი ორგანოს, გაზეთ „კომუნისტის“ 1936-1937 წლების მასალას. როგორც ცნობილია, სწორედ ეს გაზეთი მოიაზრებოდა ქართული აუდიტორიისთვის „მთავარი მესიჯების“ მისაწოდებლად და იდეოლოგიური ხაზის ჩამოსაყალიბებლად თუ „გასასწორებლად“. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს თავის ყველაზე მასშტაბურ ტერორს. საგაზეთო ენა კი ერთ-ერთი ძირითადი რგოლია ცნობიერების მანიპულაციის მრავალ იარაღს შორის, რითაც მმართველი პარტია ოპერირებდა მასებისთვის ამ ტერორის სასურველი ელფერის მისანიჭებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ქართული გაზეთებისა და კერძოდ, „კომუნისტის“ საგაზეთო ენა არაა დამოუკიდებელი ფენომენი. ის საზრდოობს საკავშირო იდეოლოგიით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გაზეთ „პრავდის“ ფურცლებიდან მოედინება. საგაზეთო ბადითა თუ შინაარსობრივი დატვირთვით ის ზუსტად ირეკლავს კრემლის მთავარი პროპაგანდისტული ორგანოს ძირითად ტენდენციებს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქართული საბჭოთა ენა განვიხილოთ საერთო საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში. ლექსიკური თუ სემანტიკური ცვლილებები, რომელსაც რუსული ენა განიცდის, იჭრება ქართული ენის სხეულში. სტალინი წერდა, რომ „მშრომელთა კულტურის ამაღლება შეიძლება მხოლოდ დედა ენაზე“² ამიტომ, ბელადის მითითებით, ადგილობრივი ორგანოები მცდელობას არ აკლებენ, რომ ქართულმა ენამაც შეითვისოს საბჭოთა პროპაგანდისტული ენის ფუნქცია და ხასიათი.

ვფიქრობთ, სტატიაში წარმოდგენილი ქართული საგაზეთო ენის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის განხილვა უბიძგებს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას ამ საკითხის უფრო ღრმა და ფუნდამენტური კვლევებისკენ, რადგან, თვალსაჩინოა, რომ ტერორის პოსტტრავმული პერიოდის ზემოქმედება (რაშიც მნიშვნელოვანი როლი ენობრივი ფორმების ღრმადგამჯდარ სტრუქტურას უჭირავს) ჯერაც განაპირობებს ადამიანების სოციალურ კულტურას, მენტალობას, მნიშვნელოვნად უშლის ხელს თავად ენის განვითარებას (რაც დღესდღეისობით არანაკლები პრობლემაა) და შესაბამისად, აფერხებს ახალი რეალობის გააზრებისა და მასში ორიენტირების უნარს.

1 გაზეთი „კომუნისტი“, №103 (4562) 5 მაისი, 1936.

2 „დედაენის სწავლება“, გაზეთი „კომუნისტი“, №85 (4544) 12 აპრილი, 1936, #1

იდეოლოგიური პროპაგანდა

საქართველოს გასაბჭოებიდან მოყოლებული, ბოლშევიკური პროპაგანდის ინდოქტრინიზაციის მეთოდები წარმატებით ახორციელებდა ადამიანთა შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ტრანსფორმაციას, ზემოქმედებდა საბჭოთა ხალხის ემოციებზე, მოსაზრებებზე და შესაბამისად ცვლიდა მათ საქციელს.

საბჭოთა ტოტალიტარული ენა, როგორც ძალმომრეობის იარაღი ჩამოყალიბდა იდეოლოგიური პროპაგანდის ბაზაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდის კონცეფცია ეყრდნობა ორ მთავარ ღერძს – 1. სუბორდინაციას და 2. რწმენას. ამ ორ კონცეპტზე ყალიბდება იდეოლოგიური კატეგორიები, რომლის ინდოქტრინიზაციაც ხდება მასებში. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის მთავარ გზავნილად სწორედ ფეოდალური სუბორდინაციისა და რელიგიური მრწამსის მოსპობაა დეკლარირებული, პროლეტარიატის დიქტატურა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად წარმატებით იყენებს თვითმპურობელური აბსოლუტიზმის სუბორდინაციის სტრუქტურასა და რელიგიური რწმენის ანალოგიურ დოქტრინებს. სტრუქტურა რჩება, იცვლებიან პერსონაჟები – Tsar batiuska (მეფე მამილო)–ს ადგილს დიადი ბელადი იქტერს, რომელიც ასევე მოიხსენიება „საყვარელ მამად“, „მშობლად“, რელიგიურ ავტორიტეტებს ცვლიან პარტიული მაღალჩინოსნები. ბელადთა სიტყვები, თვალსაზრისები, მსოფლმხედველობა დოგმატის რანგში ადის.

აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, რომ კომუნისტების დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინზმისადმი რელიგიური იყო და არა მეცნიერული. ეს ორი მოვლენა (რელიგია და კომუნისტური იდეოლოგია) სტრუქტურულ მსგავსებას ამჟღავნებს. ბაქრაძე ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა იდეოლოგიისა და იდეოლოგების უცდომელობის კონცეფცია რწმენის სფეროს მიეკუთვნებოდა და ფართო მასებში მის ჩანერგვას მსგავსი ინსტრუმენტებით ცდილობდნენ (ბაქრაძე 2019, 134-139).

უფრო ადრე ეს ფენომენი აღწერილი აქვს ნ. ა. ბერდიაევს თხზულებაში “Истоки и смысл русского коммунизма”. ის ბოლშევიზმს რუსული თვითმპურობელობის მესამე გამოვლინებას უწოდებს – მოსკოვის სამეფოსა და პეტრეს იმპერიის შემდგომ. მისი აზრით, ბოლშევიზმმა ააშენა ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. ის იყო ისეთივე მილიტარიზებული და პოლიციური, როგორც ძველი რუსული მმართველობა. „მაგრამ ხელისუფლების ორგანიზებას, მუშათა და გლეხთა მასების დამორჩილებას მხოლოდ იარაღის ძალით, წმინდა წყლის ძალადობით ვერ მიაღწევდნენ. საჭირო იყო უნაკლო დოქტრინა, უნაკლო მსოფლმხედველობა, საჭირო იყო შემკვრელი სიმბოლოები. მოსკოვის სამეფოსა და იმპერიაში ხალხი რელიგიური რწმენით იყო შეკავშირებული. ახალი ერთიანი რწმენა ხალხის მასებისთვის საჭიროებდა ელემენტარულ სიმბოლოებში გამოხატვას... ტოტალიტარული მარქსიზმი, დიალექტიკური მარქსიზმი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება არის რევოლუციისა და დიქტატურის ორგანიზების იარაღი. მაგრამ სწავლება, რომელიც საფუძვლად ედება ისეთ ტოტალიტარულ დოქტრინას, რომელიც ცხოვრების მთელ სისავსეს მოიცავს – არა მხოლოდ პოლიტიკასა და ეკონომიკას, არამედ აზროვნებასაც, ცნობიერებასაც და მთელ კულტურულ შემოქმედებას – მხოლოდ რწმენის საგანი შეიძლება იყოს“ (Бердяев 1955, 100).

ამ კუთხით საბჭოთა იდეოლოგიის განხილვა უცხო არაა სოვეტოლოგებისთვის. მიჩნეულია, რომ ტოტალიტარული რეჟიმი ყოველთვის ცდილობდა ხელისუფლების საკრალიზაციას, ქმნიდა ბელადთა კულტს. ამასთანავე იდეოლოგიური დარწმუნების სისტემა

სავალდებულო ხასიათს ატარებდა, იქმნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების დამუშავების სისტემა, ხდებოდა მისით მანიპულირება და აქ წამყვანი როლი ენას ეჭირა, როგორც ინსტრუმენტს რეალობის სიმბოლიზაციისა და ხელისუფლების საკრალიზაციისთვის. საბჭოთა ბოლო წლებშიც კი „ნიუსფიქ³ ისევ ხელუხლებელია, ჩვენ ისევ გვიწევს გამკლავება ლენინიზმის მიერ წახალისებულ და დაპროგრამებულ არათავისუფალ აზროვნებასთან ... ნიუსფიქს განსაკუთრებული მოსაჭიდი საბჭოთა ტვინებში აქვს“ (Thom 1989, 11-12).

„საბჭოთა პროპაგანდაზე ზეგავლენა იქონია „ჭეშმარიტების“ დამტკიცების მარქ-სისეულმა გზამ, რომელიც ტრანსფორმირდა ავტორიტარულ რიტორიკად, ის უფრო დადგენილს ჰგავდა, ვიდრე დარწმუნებაზე ორიენტირებულს“ – წერს რუმინელი ტოტალიტარიზმის მკვლევარი, ადრიან ჩიოფლინკე, – 1917 წლის იდეოლოგებმა მარქსის მოძღვრებიდან გააკეთეს რევოლუციური კატეხიზმო, რომელიც შექმნილი იყო: რევოლუციური სამეცნიერო მეთოდოლოგიის, კოლექტივისტური რაციონალიზმის, მატერიალური და სოციალური დეტერმინიზმის, პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნის, საზოგადოების ბუნდოვანი სტატუსის, ძალადობის თავიდან აუცილებლობისა და აგრესიული და ავტორიტარული სტილის გავლენით“ (Cioflâncă 2010, 452).

საბჭოთა ადამიანისაგან, პირველ რიგში, მოითხოვენ იდეოლოგიურ მორჩილებას. ის უნდა აზროვნებდეს და მეტყველებდეს ზუსტად ისე, როგორც ამას „ზედა ეშელონები“ განუსაზღვრავენ. როგორც ტოტალიტარიზმის მკვლევარი, პიტერ კენეზი აღნიშნავს თავისი წიგნის შესავალში: „ამ დროს ენა იღვარჭნებოდა ახალი მოთხოვნების წნებექვეშ. რევოლუციურ წლებში საბჭოთა ლიდერები ქმნიან ინსტიტუციების ფართო სიმრავლეს და აწარმოებენ ბევრ ახალ კონცეპტს. ჩნდება აბრევიატურები და მრავალი მათგანი რუსული სიტყვების ლექსიკონში შედის (Kenez 1986, X).

„პროპაგანდა ზემოქმედებს ხან ემოციებზე, ხანაც – ინტელექტზე. ესაა „დარწმუნებისა“ და „იძულების“ პიბრიდიზაცია, შეზავება. ამ ახალი პოლიტიკური ენის პეგემონიამ და პრაქტიკაში დანერგვამ შეუწყო ხელი თვისობრივად ახალი, საბჭოთა სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებას (Kenez 1986, 2).

ტოტალიტარიზმის ენის ზოგადი დახასიათებისთვის მოვიყვანთ ჯ. იანგის (J. Young) ფორმულირებას, რომელიც თავის ნაშრომში, „Totalitarian Language“ აქვს მოცემული : „ტოტალიტარულ დისკურსს ახასიათებს მონოლოგის რეჟიმი, დეკლამატორული სტილის პრიმატი და მგზნებარე კამპანიური ტონი, პროპაგანდის სტილის ტრიუმფალიზმი, იდეოლოგების, სიმბოლური სახეების წარმოება და ჩვეული გამოყენება. იდეოლოგია „აბსოლუტური ჭეშმარიტების“ რანგში აღის და პროპაგანდა რელიგიურ ქადაგებას ემსგავსება“ (Gronskaya, Zusman and Batishcheva 2012, 279-280).

საბჭოთა პროპაგანდის მკვლევარი, დევიდ ბრანდერბერერი აღნიშნავს, რომ ინდოქტრინიზაციის გზა ერთგვაროვანი და სწორხაზოვნად წარმატებული არ ყოფილა. კრიზისები, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგები აწყდებოდნენ ამ გზაზე, დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვდა. საბჭოთა ლიდერები ერთგვარი ექსპერიმენტის გამტარებლები იყვნენ, რომლებიც გზადაგზა ქმნიდნენ იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმებს (Branderberger 2011, 1-2).

1928 წლის მაისსა და ივნისში მოსკოვში გაიმართა საკავშირო კონფერენცია მომავალი ინსტიტუციური რეფორმების დასაგეგმად. კონფერენციის მონაწილეები თანხმდებოდნენ,

³ ახალი ენა – ტოტალიტარული ენის აღმნიშვნელი ტერმინი (ჯ.ორუელი)

რომ პირველი დეკადის რესურსები ამოწურულია, პარტიულ-სახელმწიფოებრივი კოოპერაციის შესაძლებლობები გაფლანგულია და ინდოქტრინიზაციის საქმეში რეალურად მიღწეულია მცირე პროგრესი. კონფერენციამ დაანონსა გლობალური გარდაქმნები, რომელსაც მრავალი სფერო უნდა მოეცვა, დაწყებული ეკონომიკიდან, აგროკულტურიდან, განათლების მეცნიერებებიდან, ნაციონალური პოლიტიკიდან, პოპულარული რწმენიდან ყოველდღიური ცხოვრების რეორგანიზაციით დამთავრებული, რაც მოითხოვდა პარტიას, კომკავშირსა და პროფკავშირებს შორის უპრეცედენტო კოორდინაციას. პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს სკოლებში, პრესაში, სამსახურებსა და პარტიული სწავლების წრეებში უნდა გამოევლინათ უფრო კონკრეტული, პრაქტიკული მიდგომები ინდოქტრინიზაციის საკითხში. მიზანი იყო არა მარტო მასების „დარწმუნება“, არამედ მათი ორგანიზება და ჩართვა საერთო ბრძოლაში. „დარწმუნების“ პოლიტიკამ ორგანიზებული, ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. ახალი მიზნების განხორციელებაში ჩაერთო არა მარტო პრესა, არამედ მთელი კულტურული სფერო: ლიტერატურა, კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, რადიო ... დაიწყო ახალი კულტურული ხედვის ჩამოყალიბება. აიკრძალა აპოლიტიკური მიდგომები.

1928-დან 1929 წლის ზაფხულამდე ცეკამ გამოსცა უამრავი რეზოლუცია, რომელიც ამ მიდგომების იმპლემენტაციას შეეხებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1928 წლის დეკემბრის რეზოლუცია, რომელიც სახელმწიფო გამომცემლობას შეეხებოდა. ამ რეზოლუციით დადგინდა, რომ საბჭოებში გამოცემული ყველა პუბლიკაცია ამიერიდან მასობრივი მობილიზაციის იარაღი უნდა გამხდარიყო (Branderberger 2011, 21-22).

დაარსდა შესაბამისი ორგანოები პროპაგანდის საწარმოებლად, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდებოდა, შედეგი მაინც არადამაკმაყოფილებელი ჩანდა და ამიტომ მათი მუდმივი რეორგანიზაცია მიმდინარეობდა. 1920 წლს შექმნილმა „აგიტპროპმა“⁴ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და 1935-1938 წლებში მას „ცეკას აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება“ (Отдел партийной пропаганды и агитации ЦК) დაერქვა.

1930 წლიდან „გლავპოლიტპრასვეტის“⁵ რეორგანიზაციაც ხდება და ის „განსახკომის“ (განათლების სახალხო კომისარიატი) მასობრივი მუშაობის სექტორად გარდაიქმნება.

1936 წლის 7 თებერვალს მოსკოვში ზეიმით გაიხსნა ი. მ. სვერდლოვის სახ. პროპაგანდისტთა უმაღლესი სკოლა. ეს სკოლა შეიქმნა ამხ. სტალინის ინიციატივით.⁶ მისი მიზანი იყო კაპიტალიზმის იდეოლოგიური ნაშთების საბოლოო აღმოფხვრა, ანტიმარქისტული, ანტილენინურ შეხედულებათა საბოლოო განადგურება, რათა მათ ხელი არ შეეშალათ ახალი ადამიანის ფორმირებისათვის. „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოწყობილმა ი. მ. სვერდლოვის სახელობის პროპაგანდისტთა უმაღლესმა სკოლამ ჩვენს პარტიას უნდა მისცეს ისეთი კადრები, რომლებიც ნამდვილად მოაწყობენ პარტიულ პროპაგანდას, აიყ-

4 აგიტ-პროპი (რუს. агитпроп) — აგიტაცია-პროპაგანდა. ტერმინი გაჩნდა ბოლშევიკურ რუსეთში (მომავალ საბჭოთა კავშირში), სადაც იგი აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების შემოკლებულ სახელად გამოიყენებოდა.

5 Главный политico-просветительный комитет Наркомпроса РСФСР (Главполитпросвет Наркомпроса РСФСР) — орган государственной власти, входивший на правах Главного управления в состав Наркомпроса РСФСР — министерство პოლიტიკურ-საგანმანათლებლო კომიტეტი.

6 „პროპაგანდისტთა უმაღლესი სკოლის გახსნა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან“ გაზეთი „კომუნისტი“, 9 თებერვალი, 1936, №1.

ვანენ მას კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე, ჩვენი პარტიის სახელოვან ტრადიციებს უფრო ღრმად გადაიტანენ მასებში.⁷

1936 წელს კომპარტია ახალ პროპაგანდისტულ ამოცანებზე გადადის. გაზეთი „კომუნისტის“ 1936 წლის 3 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სისტემის განყოფილების გამგის, ერიკ ბედიას⁸ სტატია – „პარტიული პროპაგანდის მორიგი ამოცანები“, რომელსაც ავტორი კომპარტიის XVII ყრილობაზე წარმოთქმული სტალინის სიტყვის დეკლარირებით იწყებს. ამ სიტყვაში ბელადი ხაზს უსვამდა პროპაგანდისტური მუშაობის ფართოდ გაშლის მნიშვნელობას. ბედია აანონსებს პარტიულ წრეთა სისტემის განახლებას. დაიგეგმა 10 ტიპის წრის დაარსება. სკაპ ცეკას 1935 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით პროპაგანდისტები უნდა შეერჩია სპეციალურ კომისიებს და დაემტკიცებინათ რაიკომთა ბიუროებს. ბედია აღნიშნავს: „პარტიული პროპაგანდა არის მთელი პარტიული მუშაობის სული და გული, მთელი ჩვენი პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის საფუძველი.“⁹

1936 წლის 9 მარტის „კომუნისტში“ ქვეყნდება აქ. ა.ლ. გ.პ.¹⁰ ცეკას მდივნის, აკაკი მგელაძის¹¹ საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომკავშირის მე-12 ყრილობაზე. ქვეთავში, „მთავარია კომკავშირელთა იდეური შეიარაღება“, ის წერს იდეური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ; აღნიშნავს, რომ ამჟამად ალკა-ს ჰყავს 5430 პროპაგანდისტი, სამუშაო დოკუმენტად ასახელებს ბერიას მოხსენებას „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც იყო მკაფიო გზავნილი, რომ იდეოლოგიური მუშაობა დიდი სტალინის ირგვლივ უნდა შემტკიცროვებულიყო.¹²

ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ერთგვარი გზამკვლევი გახდა პარტიული ხაზისათვის. ის სამაგიდო წიგნად ცხადდება – „ამხ. ლ. ბერიას მოხსენება აღზრდის იარაღია“.¹³

„როგორც კი ტერორი ძალას იკრებს, პარტიული ორგანიზაციების ყველა დონიდან იწყება მოთხოვნა კანონიკურ ტექსტზე, რომელიც ერთგვარ სახელმძღვანელო წიგნად გამოცხადდება“. – წერს დევიდ ბრანდერბერგერი – „თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინი დირექტივას გასცემს“ (Branderberger 2011, 151).

გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლები 1936 წლის მარტიდან ივსება ასეთი სათაურის სტატიებით: „ აკამდალოთ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონე“, „დაუღალავად ვაწარმოვოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა“, „პარტიული პროპაგანდა – ახალ ამოცანათა დონეზე“, „მოწინავე პროპაგანდისტები“, „დაუღალავად ვაწარმოვოთ ლენინიზმის პროპა-

7 „შევქმნათ ბოლშევიკური პროპაგანდის ოსტატთა კადრები“. გაზეთი „კომუნისტი“, 10 თებერვალი, 1936, №1.

8 ერმილე (ერიკ) ბედია (1901-1937) – საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე, შემდგომში – გაზეთ „კომუნისტი“ რედაქტორი. დახვრიტეს 12/12/1937.

9 ერიკ ბედია, „პარტიული პროპაგანდის მორიგი ამოცანები“ გაზეთი „კომუნისტი“, 3 თებერვალი, 1936, №2-3.

10 ალკა – ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი (კომკავშირი)

11 აკაკი ივანეს ძე მგელაძე (დ. 1910 – 1980) – საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ პარტიული მოღვაწე. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

12 აკაკი მგელაძე, „ჩვენ ვართ ლენინ-სტალინის ახალგაზრდა თაობა“. გაზეთი „კომუნისტი“, 9 მარტი, 1936, №3.

13 „დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას“ ამხ. ს. დგგბუაძის მოხსენება საქართველოს კომკავშირის მე-12 ყრილობაზე. გაზეთი „კომუნისტი“, 2 აპრილი, 1936, №2.

განდა“ „მზრუნველობით გამოვზარდოთ პროპაგანდისტთა კადრები“, „მზრუნველობით გამოვზარდოთ ძირეული აგიტატორები“, „ფართოდ გავშალოთ მასობრივი აგიტაცია“, „პარტიული პროპაგანდა“, „მეცნიერ მუშაკთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისთვის“, „ბოლშევიკურად მოვაწყოთ პარტიული პროპაგანდა“, „ბოლშევიკური აგიტაციის გაშლისთვის“.

თანდათან ყალიბდება ახალი პოლიტიკური ენა, ნიუსფიქი, რომელიც სწორედ ამ პროპაგანდისტულ მოთხოვნათა განხორციელებას ემსახურება. ამ ენის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს პოლიტიკური დისკურსი, რომელსაც მთელ რიგი მკვლევრები ტოტალიტარულ დისკურსად განიხილავნ (ჟ. ორუელი, „ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი“ (1941), „1984“ (1949), ფ. ფონ ჰაიეკი, „გზა მონობისკენ“ (1944), ვ. კლემპერერი, „მესამე რეიხის ენა“ (1946), ჰანა არნენდტი, „ტოტალიტარიზმის დასაწყისი“ (1951) და სხვ. ტოტალიტარული დისკურსი, როგორც ენის თეორეტიკოსი სვეტლანა კეგეიანი წერს, განიხილება, როგორც მსოფლმხედველობრივი ნორმებისა და სტერეოტიპების, მეტყველებისა და აზროვნების პროცესის სტრატეგიებისა და ტაქტიკების, იდეოლოგიური მითითებებისა და ეთიკური ნორმების ერთობლიობა, რომლის მენტალო-ენობრივ დომინანტად გვევლინება ხელისუფლების უპირატესობა და ყოვლისმომცველი როლი. ეს იდეოლოგია ინერგება მასობრივი რეციპიენტის კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში „ლინგვისტური დათრგუნვის“¹⁴ მექანიზმის მეშვეობით ცენტრალიზებული მეტყველებითი ზემოქმედების გზით, რომელიც მანიპულაციურ ხასიათს იძენს. ლინგვისტური მნიშვნელობით იტვირთება ტოტალიტარიზმის ისეთი არსებითი ნიშნები, როგორიცაა: ცხოვრების ყოველმხრივი იდეოლოგიზაცია, რომელიც პრეტენზიას აცხადებს „აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე“, დიალოგის ფორმატის ჩანაცვლება ბელადთა მონოლოგებით, პოლიტიკური კომუნიკაციის რიტუალურობა, ლოზუნგურობა და ფიცისკენ მიღრეკილება, პროპაგანდისტული საქმიანობის ცენტრალიზაცია და პროპაგანდისტული ტრიუმფალიზმი, მკაცრი დიფერენციაცია – „თავისიანი/უცხო“ (სამყაროს დაყოფა ორ მტრულ ბანაკად – „ჩვენ“ და „ისინი“). ამისთვის გამოიყენება „იდეოლოგიზირებული სიტყვები“, რომლებიც რეციპიენტზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს (Kegelia 2009, 10-11).

საკავშირო პოლიტიკური ენა, რომელიც ზემოთჩამოთვლილი მახასიათებლებით გამოირჩევა, ქართული საგაზეთო ენის ძირითადი განმსაზღვრელი ხდება. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ ქართული პრესის ენობრივი სხეული ზუსტად ირეკლავს ცენტრალური ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანის დირექტივებს.

ბოლშევიკთა ენა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე საქართველოს გასაბჭოებისთანავე გამოირჩევა ხისტი, სწორხაზოვანი აგრესით: „წყველითა და კრულვით მოიგონებს იგი (ქართველი ხალხი – რ. კ.) თავისი ისტორიის გუშინდელ სამარცხვინო ფურცლებს და მით უფრო გაკაუებული, გაფოლადებული ... მიეგებება ბრწყინვალე ხვალეს“. „პარტია არის მეთაური და ქვაკუთხედი ჩვენი ახალი, გრანდიოზული საქმის“. „ბევრი არამზადა, ბნელის ზრახვების მქონე მოვა ჩვენ პარტიის კარგებთან“. „საქართველოს სისხლისგან დაცლილი, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე, ბრძოლის ცეცხლში გამოზრდილი, გმირული კომუნისტური პარტია თავს არ შეირცხვებს და ღირსეულ საქმეს ღირსეულად შეასრულებს“. „საბჭოთა უფლების გამოცხადებით საქართველოში იწყება სრულიად ახალი, დიდებული ხანა ჩვენი ცხოვრებისა“¹⁵.

14 ტერმინი ეკუთვნის მ. მამარდაშვილს.

15 გაზეთი „კომუნისტი“, 2 მარტი, 1921, №1.

ბინარული ოპოზიცია – „ჩვენ“ და „ისინი“, სადაც „ჩვენ“ უკიდურესად პოზიტიური შინაარსის მატარებელია და „ისინი“ – უკიდურესად წევატიურის, უკვე სახეზეა. მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელებული ბოლშევიკური დიქტატი, რომელიც მორალისტური შეფასებითი კატეგორიულობით გამოირჩევა, ის თავიდანვე აყალიბებს გენერალურ ხაზს, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო ფართოვდება და ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, ვიწროპოლიტიკური დაპირისპირებიდან (მენშევიკები – ბოლშევიკები) გადადის საბჭოთა ადამიანის ქმედებებისა და აზროვნების სტილის კორექტირებაზე.

1936 წლის საგაზეთო ნომრები დატვირთულია პოზიტიური ხასიათის პროპაგანდის ნიმუშებით, რომლებიც საბჭოების მიღწევებსა და წარმატებულ პოლიტიკას განადიდებს. საგაზეთო ნომრები ძირითადად მისაბაძი მოქალაქეების საქმიანობის აღწერასა და ქებას ეთმობა. დომინირებს სტახანოველთა¹⁶ შრომის გამოფენა: მათი ფოტოები გაზეთის პირველ გვერდზე, ზედა მარჯვენა კუთხეშიც კი გვხვდება – იქ, სადაც სტალინის პორტრეტი ზის. უკლებლივ ყველა ნომერში რამდენიმე წერილი მაინც ეთმობა სტახანოვური შრომის განდიდებას. მაგ. გაზეთი „კომუნისტის“ 1936 წლის 27 მაისის ნომრის მხოლოდ ერთ გვერდზე გამოქვეყნებული წერილების სათურებია: „სტახანოველთა შეჯიბრის ძალა“, „ბელადისთვის მიცემული სიტყვა გავანალდე“, „შაქრის ჭარხლის სარეკორდო მოსავალისათვის“, „ორდენისან არ. ღუდუშაურის ახალი ვალდებულებანი“, „მოწინავე კოლმეურნეობა“.

სტახანოვური აღმშენებლობის გაშუქების პარალელურად მიმდინარეობს „მხილების პოლიტიკაც“. პერიოდულად შუქდება „ხალხის მტრების“ სასამართლო პროცესები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი განმაქიქებელი სტატიები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ისინი ებმის კონკრეტული ჯგუფების სასამართლო პროცესებს და მთლიან სურათში საკმაოდ მცირე სეგმენტს ქმნის, თუმცა სიძულვილის ენით უკიდურესად გაჯერებულს.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ტერმინი „ხალხის მტრი“ სტალინურ კონსტიტუციაში ფიქ-სირდება, რომლის X თავის №131 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ის პირი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, წარმოადგენ ხალხის მტრებს.“¹⁷

პუბლიკაციებში, რომლებიც მემარჯვენე-ტროცკისტების „დანაშაულებათა“ გამოაშკარავებასა და დაგმობას ემსახურება, ფართოდ გამოიყენება უკიდურესად დატვირთული წევატიური კონოტაციის ლექსიკა – 1936 წლის 16 აგვისტოს ზინოვიევ-ბუხარინის პროცესის გაშუქებისას მრავლად გვხვდება: „პორაუნცები, გამცემლები და მოღალატეები, ქვეწარმავალნი“,¹⁸ „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“,¹⁹ „ხალხის მტრებს დანაშაულზე წასწრეს“ (ტროცკი-ზინოვიევის ბლოკის ტერორისტული ჯგუფების აღმოჩენა) – „პროლეტარული რევოლუციის რეინის ქუსლით გავსრისოთ ქვეწარმავალნი“, „ქვეყანა სამარცხვინო ბოძე აკრავს საზიზღარ მკვლელებს“ (პრავდის მოწინავე, 17/8),²⁰ „დიადი ხალხის

16 ალექსეი სტახანოვი (1905-1977) – მეშახტე. მას მიეწერებოდა გეგმის გადაჭარბებით (14,5-ჯერ მეტი ქვანაშირის მოპოვება) შესრულება. ამ მიღწევამ საფუძველი ჩაუყარა „სტახანოვურ მოძრაობას“.

17 კონსტიტუცია (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик (утверждена постановлением Чрезвычайного VIII Съезда Советов Союза Советских Социалистических Республик от 5 декабря 1936 года): первоначальная редакция

18 გაზეთი „კომუნისტი“, №188(4697) 16 აგვისტო, 1936

19 ლ. ბერია, „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“, გაზეთი „კომუნისტი“, №193(4692) 21 აგვისტო, 1936

20 გაზეთი „კომუნისტი“, №190 (4699) 18 აგვისტო, 1936

დიდი მრისხანება“, „გამოაშკარავებული თვალთმაქცი“²¹, „არავითარი შებრალება ხალხის მტრებს“²²

საგაზითო ენა კორექტირდება მკაცრად ფორმულირებული იდეოლოგიური დისკურსით. ჯერ კიდევ 1936 წლის მაისში „კომუნისტში“ იბეჭდება (საკ. კ.პ (ბ) ც. კ-ის ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა განყოფილების გამგის ამხ. ბ. მ. ტალის²³ მოხსენება, რომელშიც ის ახალი ენობრივი პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებს: „გაზეთები ხშირად იწყებენ წერას განსაკუთრებით ფერადოვანი წკრიალა ფრაზებით, აკოწიწებენ უგრძელეს რთულ პერიოდებს, რომლებიც შეიცავენ ჩართულ წინადადებებსა და უამრავ მოხდენილ განმარტებას. ლიტერატურული მანქვა-გრეხვის მოყვარულებს ავიწყდებათ, რომ საუკეთესო ენა ეს არის უბრალო, მკაფიო, მეტყველი, სიტყვებდაზოგვილი ენა, ის ენა რომლითაც სწერდა ლენინი და სწერს სტალინი. ჩვენმა გაზითებმა უდიდესი მუშაობა უნდა გასწიონ ენის კულტურის, ჩვენი მშვენიერი, მდიდარი, სურათოვანი ენის კულტურის დასაუფლებლად. ახლა ბეჭდვითი სიტყვის წინაშე წამოიჭრა დიდი, სერიოზული ამოცანა, საბჭოთა პუბლიცისტიკის შექმნის ამოცანა“²⁴

ცხადი ხდება, რომ დირექტივას „რა უნდა ვწეროთ“ ემატება დირექტივა: როგორ უნდა ვწეროთ: „ცხადდება პარტიული ორგანოების დაკვეთა: საბჭოთა პუბლიცისტიკის ენა უნდა გაიცხრილოს ხატოვანი გამონათქვამებისგან, „ჩახლართული“ ენა უნდა შეცვალოს „უბრალო“ ენამ. ენის „უბრალოების“ სწავლა კი ისევ ბელადთა მეტყველების მიხედვითაა რეკომენდირებული (ეყრდნობა მარქსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს). ინერგება მშრალი კლიშეებით, შეზღუდული ლექსიკითა და სწორხაზოვანი დირექტივებით გაჯერებული ენა, რომელიც მთლიანად პროპაგანდის მარწუხებშია მოქცეული.

პროპაგანდის ენას უნდა ეტვირთა მთავარი როლი მასებისთვის ბოლშევიკურად დავარცხნილი რეალობის მისაწოდებლად. შესაბამისად, საგაზითო ენა მკაცრად განსაზღვრულ კალაპოტში ექცევა, რომელიც მოითხოვს ზუსტ ფორმულირებებს, მკაცრად განსაზღვრულ შეფასებით კრიტერიუმებს, აყალიბებს ლოზუნგების სიმრავლეს და, შესაბამისად, კარგავს ბუნებრივ გამომხატველობით ფუნქციას.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული პრესის ენა დამოუკიდებელი არ ყოფილა. ის მიჰყვება ცენტრალური პრესის გამოცემებს: „პრავდასა“ და „იზვესტიას“. ქართულ საგაზითო ენაში მიმდინარე ცვლილებები ძირითადად რუსულიდან თარგმნისა და კალკირების გზით მიმდინარეობს. ამ ენის „გამდიდრებასა“ თუ „შევიწროებას“ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კომუნისტ ბელადთა სიტყვები, რომლებიც პრესაში სრული სახით იბეჭდება, საპროპაგანდო ორგანოების მიერ წარმოებული ლოზუნგები, რომელთაც ცალკე სვეტი ეთმობა გაზითის პირველ გვერდზე და ასევე, ახალი სახელმწიფო თუ პარტიული ორგანოების ორგანიზაციული ბადე, რომელიც ტერმინოლოგიური სფეროს უკიდურესი დატვირთვით ამუშავებასა და ენაში ნეოლოგიზმების ფართო ნაკადის შემოდინებას განაპირობებს.

21 გაზითი „კომუნისტი“, №192(4691) 20 აგვისტო, 1936

22 გაზითი „კომუნისტი“, №193(4692) 21 აგვისტო, 1936

23 ბორის ტალი - (1898-1938) – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ხელმძღვანელობდა ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობის განყოფილებას, იყო რედაქტორი უკრნალისა „Большевик“.

24 ბ. მ. ტალი. „ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ“ გაზითი „კომუნისტი“, 11 მაისი, 1936, №2.

თვალშისაცემია აბრევიატურების წარმოების სიჭარბე,²⁵ რომლებიც იდეოლოგებს წარმოადგენს. გამორჩეული იდეოლოგიური აბრევიატურებია „კომუნისტიკა“ – კომპარტიის წევრობის წყალობით თავგასვლა და პარტშვილი (ლენინის გამოზრდილი ბოლშევიკი).²⁶

იწარმოება ახალი საბჭოთა ლექსიკა – ცრუმორწმუნება (суеверие), დამკვრელური (ударный), სტანციონერი (стахановец), ტროცკისტი (троцкист). ხდება ლექსიკური ერთეულების „გასაბჭოება“ – შეჯიბრი (სოცშეჯიბრი – соцсоревнование) ხაზი (გენერალური ხაზი – генеральная линия). იქმნება განუყოფელი იდეოლოგიური წყვილები: მუშათა კლასი (рабочий класс), წითელი არმია (красная армия), დამკვრელური შრომა (ударный труд), მშრომელი ხალხი (рабочий народ).

აღსანიშნავია ლექსიკური ერთეულები, რომელთა სემანტიკური ველი იდეოლოგიურად დავიწროვდა – სამშობლო (ყოველთვის მოიაზრება სოციალისტური სამშობლო – социалистическая родина), პატრიოტიზმი (საბჭოთა პატრიოტიზმი – советский патриотизм).

იდეოლოგებათა ასეთი სიმრავლის ინტერვენცია ენის სხეულში და მათით ოპერირების სიხშირე იწვევს ბუნებრივი, სადა ენის ველის შემჭიდროებას. ის პოლიტიკური ფორმულებისა და სტერეოტიპების ნაკრებად გვევლინება. თავად სტალინი მოგვიანებით აღნიშნავს, რომ ენაში შეიცვალა ლექსიკური ფონდი, ის შეიცვალა სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რაც ახალმა სოციალისტურმა წყობამ მოიტანა. გაჩნდა ახალი სახელმწიფო, ახალი სოციალისტური კულტურა, ახალი საზოგადოება, ახალი მორალი. საგულისხმოა, რომ ის ენას უყურებს, როგორც იარაღს, საშუალებას, რომელიც რომელიმე კლასის სამსახურში უნდა იდგეს. „არავისთვის საიდუმლო არაა ის ფაქტი, რომ რუსული ენა ისევე მშვინივრად ემსახურებოდა რუსულ კაპიტალიზმსა და რუსულ ბურჟუაზიულ კულტურას ოქტომბრის გადატრიალებამდე, როგორც ახლა ემსახურება რუსული საზოგადოების სოციალისტურ წყობილებასა და სოციალისტურ კულტურას“ – ასე აფასებს ის 1950 წელს ენაში მომხდარ ცვლილებებს.²⁷ ამ სიტყვებში იკითხება შეფარული ცინიზმიც და ის თვითმპურობელური ამბიციაც, რომელიც მის პოლიტიკას მთლიანობაში გააჩნდა.

სემანტიკური ფორმულა

მთავარი ფოკუსი იდეოლოგიური ეპითეტების სტრუქტურულ ანალიზზე გვინდა გავაკეთოთ. გაზეთ „კომუნისტის“ 1936 და 1937 წლების ნომრების შესწავლამ ამ კუთხით შემდეგი სურათი გვაჩვენა. ეპითეტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა გვიჩვენებს ორპოლუსიანი რეალობის დამკვიდრებისკენ მიმართულ ენობრივ კონცეპტებს. თითქმის ყველა

²⁵ ამ აბრევიატურათა ნაწილი შეგვხდა ი. იმედაშვილის გამოუცემელ ლექსიკონში: „კოლმშენებლობა, კოლწევრი, კოლხელშეკრულობა, ლაბორარაგება, ლეგთავი, ლეგმეთაური, ლიკვიდკომი – ლიკვაროლა, ლიტერაქტორი, ლენინსტიტუტი, აკმიტსახკომატი – ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, აკრევსამსახური – ამიერ-კავკასიის რევოლუციონური სამხედრო საბჭო, კულტკადრი, კულტბრიგადა, კულტგადანი, კულტინსტრუქტორი, კულტკომისია, კულტკურთხე, კულტლაშქრობა, კულტმასიური, კულტმადაზია, კულტმომსახურება, კულტმომუშავე, კულტმუშავი, კომპმუშავი, კომპლატარია, კომპორგანიზაცია, კომპაროდუქტი, კომპარენიკუმი, სოცშრომა, უცილფონდი“. იოსებ იმედაშვილი, ლექსიკონი (ფრაგმენტები), „სოვლაბის“ არქივი.

²⁶ გაზეთი „კომუნისტი“, №33(4492), 10 თებერვალი, 1936.

²⁷ Стalin, И.В. Относительно марксизма в языкоznании. Правда, №171(11643), 20 июня 1950.

ადამიანი, ორგანიზაცია თუ მოვლენა განიხილება „პოზიტივ-ნეგატივის“, „კეთილი-ბოროტის“ ბინარულ კონტექსტში. ადამიანები/ქმედებები/მოვლენები იყოფიან „აღფრთოვანება/სიყვარულის – სიძულვილი/ზიზღის“ ობიექტებად. უკიდურესად იშვიათია ადამიანის, ქმედების ან მოვლენის მოხსენიება ეპითეტის ან იდეოლოგიური მარკერის გარეშე. ამასთან, უმეტესწილად გამოყენებულია უკიდურესი შეფასების ფორმები, ჩვეულებრივი მოვლენაა აღმატებითი ხარისხის გამოყენება, რაც აყალიბებს მაქსიმალურად დაჭიმულ დიქორომიას, სადაც ერთ მხარეს დგას ზეალმატებული პოზიტივი, ხოლო მეორე მხარეს – უკიდურესი ნეგატივი. დროის ხაზი გაყოფილია: „შავბნელი წარსული – აყვავებული აწყო“, ან „ნათელი მომავალი – ბნელი წარსული“.

პოლიტიკური რეალობა გვიჩვენებს ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკებს – „სოციალიზმი – ეს არის მიწა, პური, ბედნიერება და დოვლათი. კაპიტალიზმი – ეს არის კაბალა, შიმშილი, ომი და სიკვდილი („პრავდის მოწინავე“)²⁸, რაც ასევე რუსული კლიშეებს ზუსტ თარგმანს წარმოადგენს.

მიმდინარე მოვლენების შეფასება ორ ძირითად ნარატივად იყოფა: „აღმშენებლობა – მავნე ელემენტების ბოგინი“ – „ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავებისათვის პარტია დაუზოგავად ანგრევს ერთიმეორებზე ჯაშუშურ ბუდეებს, სპობს საზიზღარ მავნებლებს, რომლებიც ხელყოფენ სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერებასა და ცხოვრებას („პრავდის მოწინავე“).²⁹

აქტიურად გამოიყენება დროისა და სივრცის იდეოლოგიურ ჩარჩოში განაწილება – „მხოლოდ ჩვენთან – არსად“, „დღეს – არასდროს“.

იშვიათად გვხვდება შედარებით რბილი ფორმებიც: „აქტიური – პასიური“ (კომუნისტი, კომკავშირელი) და „პასუხისმგებლიანი – უპასუხისმგებლო“.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლარიზაცია 1936 წელს ჯერ კიდევ არაა მკვეთრად ჩამოყალიბებული. სტახანოვური სულისკვეთებით აღვსილი ადამიანების საპირწონედ გვხვდებიან არა მარტო „საზიზღარი ქვეწარმავლები“, არამედ „უქნარა“, „დაუდევარი“, „გულგრილი“ და „საქმის არმცოდნე“ კადრები. თუმცა, ეპითეტთა უმრავლესობა მაინც უკიდურესობებისკენაა მიღწეული.

პროპაგანდის ცენტრალური ფიგურაა ხალხთა დიდი ბელადი სტალინი, და არა ლენინი (თუმცა, იშვიათად გვხვდება ლენინთან მიბმული ლექსემებიც – ლენინურ-სტალინური პრინციპულობა, ლენინურ-სტალინური სიმტკიცე, ლენინურ-სტალინური კომკავშირი). ყველგან ჩანს მისი „მზრუნველი“ ხელი, მისი „ბრძნული გადაწყვეტილებები“, მისი განმსაზღვრელი როლი „ბედნიერ ყოფაში“. გაზეთის პირველ გვერდებზე დომინირებს მისი პორტრეტი. ის არის „სოციალიზმის გამარჯვებათა, სამური და ბედნიერი ცხოვრების შექმნის დიადი სიმბოლო“³⁰ ის მოიაზრება იმ სინათლის წყაროდ, რომელიც ეფინება და განსაზღვრავს ყველა „კეთილ“ მოვლენას. ცეკას გენერალურ მდივანს არასოდეს მოიხსენიებენ მსაზღვრელ-ეპითეტების გარეშე. ეს ეპითეტები შეიძლება დაიყოს შინაარსობრივი ველის მიხედვით.

28 გაზეთი „კომუნისტი“, 1937, 2 ოქტომბერი.

29 გაზეთი „კომუნისტი“, 1937, 2 ოქტომბერი.

30 გაზეთი „კომუნისტი“, 1936, №37

სიღიადე და ყოვლისმომცველობა:

საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი (великий вождь советского народа и труженичихся всего мира), სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორი (организатор великих побед социализма), დიდი სტალინი (великий Сталин), დიდი ბელადი (великий вождь), მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი (вождь всемирного пролетариата), ბოლშევიკურ გამარჯვებათა ორგანიზატორი (организатор большевистских побед), უდიდესი ორგანიზატორი (великий организатор), მშრომელი კაცობრიობის მესაჭე (кормчий трудающихя всего человечества), დიდი ბელადი და მასწავლებელი (великий вождь и учитель), სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი (организатор и вдохновитель исторических побед социализма), პროლეტარული რევოლუციის დიდი არწივი (горный орел пролетарской революции)³¹, კაცობრიობის გენიოსი და პროლეტარიატის ბელადი (гений человечества и вождь всемирного пролетариата).

სიყვარული და სიახლოვე:

ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ბელადი (наши дорогой, любимый вождь), ჩვენი საყვარელი, გენიოსი ბელადი (наши любимый, мудрый вождь), მშრომელი მასების საყვარელი ბელადი (любимый вождь рабочих масс), მშობლიური სტალინი (родной Сталин).

სიბრძნე და გენიალურობა:

ჩვენი ბრძენი ბელადი (наши мудрый вождь) გენიოსი სტალინი (гениальныи Сталин), დიდი გენია (величайший гений), გენიალური პროგნოზი (генеральный прогноз – супергенеалюбовьи)

ამ ეპითეტებით ყალიბდება ლიდერის ზეაღმატებული ფიგურა, რომლის ყველა სიტყვა და გამოსვლა „ისტორიულია“, რომელსაც აქვს „რკინის ხელი“ და „ბრძნული ხელმძღვანელობით“ განაცემს ქვეყანას.

ახლადნაწარმოები ზედსართავი „სტალინური“ (сталинский) უკავშირდება როგორც პოლიტიკურ ლექსიკას (სტალინური კონსტიტუცია, სტალინური წესდება), ასევე ადვილად ერგება სხვა ნებისმიერი ტიპის ლექსიკას:

სტალინური ზრუნვა, სანიმუშო სტალინური ქმედება, სტალინური დავალება, სტალინური ინდუსტრიალიზაცია, სტალინური ტრადიციები, სტალინური თაობა, სტალინური ახალგაზრდობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა.

ხშირია მისათვის მადლობის აღვლენა „ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.“

გარდა დიდი ბელადისა, მისაბაძ, „კეთილ“ მაგალითებად წარმოგვიდგებიან პარტიული ლიდერები. მათი ყველა გამოსვლის ტექსტი სრულად იბეჭდება გაზეთში. ნიშანდობ-

31 ეს მეტაფორა თავად ი. ბ. სტალინის შექმნილია. მან ის ლენინის აღსაწერად გამოიყენა. И.В.Сталин. О Ленине. Речь на вечере кремлёвских курсантов 28 января 1924 г. <http://grachev62.narod.ru/stalin/index.htm> – Стalin И.В. Сочинения. – Т. 6. – М.: ОГИЗ; Государственное издательство политической литературы, 1947, 52–64.

რუსუდან კობახიძე

ლივია ფაქტი, რომ სტალინის, ბერიას, ორჯონივიძის და სხვა მოღვაწეთა სახელები მათ სიცოცხლეშივე ერქმევა ქუჩებს, სტალიონებს, საამქროებს, ქალაქებს, ქარხნებს და სხვა ორგანიზაციებს, რითაც ისინი ერთგვარ „ცოცხალ წმინდანთა“ მსგავსად აღიქმებიან. ისინი დიდი სტალინის მეგობრებად და თანამებრძოლებად იხსენიებიან და სწორედ ამით ენიჭებათ წონა და სიყვარულის ობიექტად მოხსენიება.

ცალკე უნდა გამოიყოს ეპითეტები, რომლებიც თავად წარმოადგენენ იდეოლოგემებს მკაცრად განსაზღვრული სემანტიკური ოპოზიციით, რომელიც პოლიტიკური დირექტივის მატარებელია. „ბოლშევიკური“, „მარქსისტული“, „კომუნისტური“, „რევოლუციური“, „პროლეტარული“, „საბჭოთა“, „სოციალისტური“, „სტახანოვური“, „ჩეკისტური“, როგორც პოზიციური კონტექსტის შემცველი, უპირისპირდება ნეგატიური დატვირთვის ლექსემებს: „მენშევიკური“, „თეთრგვარდიული“, „ნაციონალისტური“, „იმპერიალისტური“.

დადებითი კონტექსტი:

ბოლშევიკური სალამი/რეალიზაცია/სიცხიზლის დროშა/ გამართულობა/ წესრიგი/ გარსახედელი /მუშაობა/შესრულება/პირდაპირობა/და უშიშრობა/ გამოწროთობა/ გამჭრიახობა/გამოცდილება/თვითკრიტიკა/აღზრდა/ მობილიზება/ შეტევითი სიცხიზლე

პროლეტარული პუმანიზმი/ახალგაზრდობა/მართლმაჯულება/რკინისებური სიმედგრე/კლასობრივი ლიტერატურა/ლიტერატურული მოძრაობა

ჩეკისტური ბრძოლისუნარიანობა/შეუპოვრობა/სიცხიზლე/საბრძოლო დროშა სოციალისტური მშენებლობა/სამშობლო/სამოსელი (მეტაფორა)/მაღალი ნაყოფიერება სტახანოვური გაქანება/ენთუზიაზმი/მეთოდი

რევოლუციური სიცხიზლე/ნათლობა

საბჭოთა სამშობლო/პატრიოტიზმი

კლასობრივი სიცხიზლე/ძმები

კომუნისტური მორალი

საკოლმეურნეო დემოკრატია

უარყოფითი კონტექსტი:

მენშევიკური ბუნება/შავბნელი „დემოკრატია“ (მ. ჯავახიშვილი)

ნაციონალისტური /იდეები/სიმყრალე/ელემენტები/მავნე განწყობილებანი

ფაშისტური ქოფაკები/არამზადები/ბანდა

კონტრრევოლუციური ელემენტები/იდეები

ანტისაბჭოთა ელემენტები/მუშაობა

ანტიპარტიული უაღრესად მავნე შეხედულებანი

იმპერიალისტური ულელი

ტროცკისტი ბანდიტები

შოვინისტური პოლიტიკა

არაბოლშევიკური პრაქტიკა

როცა იდეოლოგიური მსაზღვრელი დაერთვის პოლიტიკური შინაარსის ლექსემას, როგორიცაა „ბოლშევიკური პარტია“, „ბოლშევიკური კადრები“, იქმნება ერთი შეხედვით, ბუნებრივი კონსტრუქცია, რომელიც, წესით, მხოლოდ პოლიტიკურ მიკუთვნებულობას უნდა გამოხატავდეს, თუმცა, იმის გამო, რომ ისინი მკაცრად განსაზღვრული დადებითი კონტექსტის მატარებელია, დირექტივას წარმოადგენს.

ამ იდეოლოგების შინაარსობრივ-კონცეპტუალურ აღრევაზე ყურადღებას ამახვილებს ნ. კუპინა: სიტყვა-იდეოლოგები, „ბოლშევიზმი“ (პოლიტიკური კონცეპტი) და მარქ-სიზმი, ლენინიზმი (ფილოსოფიური კონცეპტი) სრულ სინონიმებად ითარგმნება. ეს ადასტურებს ფილოსოფიური და პოლიტიკური კონცეპტების შერწყმას და მთლიანობაში მის დაპირისპირებას ანტიმარქსიზმთან (Купина 1995, 26).

გაცილებით მეტია შესიტყვებათა ტიპი, სადაც იდეოლოგიური ეპითეტი მორალური, ზნეობრივი, ემოციური და ქცევითი კატეგორიის გამომხატველ სიტყვებს მიესადაგება. იქმნება ტრაფარეტები (იხ. ზემოთწარმოდგენილი მასალა), რომელთა გამოყენების სიხშირე იმდენად დიდი მასშტაბისაა, რომ ეს მოვლენა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ერთგვარი იდეოლოგიური ინექცია ენის სხეულში. თვალსაჩინოა, რომ პოლიტიკური იდეოლოგიის სფერო იჭრება ასევე მორალურ-ზნეობრივ და ქცევით კატეგორიებში და განსაზღვრავს მათ.

მიუხედავად ამ ტიპის იდეოლოგიური ეპითეტების სიმრავლისა და მათი გამოყენების სიხშირისა, ისინი მაინც არ ასრულებენ წამყვან როლს ორპოლუსიანი რეალობის ჩამოყალიბებაში. მათი უმრავლესობა კომუნისტური წყობის დასრულებასთან ერთად ხმარებიდან ამოვარდა (საჭახანოვური, კლასობრივი, რევოლუციური), ზოგმა მკვეთრად პოზიტიურიდან მკვეთრად ნეგატიური შინაარსი შეიძინა (ბოლშევიკური, ჩეკისტური). მაგრამ ამგვარი პოლიტიკური მარკერი პოსტიურობასთან საქართველოშიც საკმაოდ პროდუქტიული იარაღი გახდა. „ზვიადისტი“, „მიშისტი“, „ნაცი“, „ქოცი“ დღესაც აქტიურად გამოიყენება იარლიყის ფუნქციით.

სემანტიკური პრიმიტივიზმი საბჭოთა საგაზიეთო ენის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ისაა უტილიტარიზმის, როგორც ტოტალიტარიზმის ელემენტის, მისი ზნეობრივი იდეალის გამოვლინება (Ахизер 1993, 14-19). როგორც რუსი ენათმეცნიერი, ნ. ა. კუპინა წერს, ტოტალიტარიზმის ენა ხასიათდება ლექსიკის სწორხაზოვანი აქსიოლოგიური პოლარიზაციის ტენდენციით (Купина 1995, 23). სწორედ ამგვარ პრიმიტიულ ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან ადამიანის/ფაქტის/მოვლენის შემფასებელი ეპითეტები. ხდება ეთიკური და ზნეობრივი სფეროს ტრანსფორმაცია პოლიტიკურ სამოსად. „აირჩიეთ საუკეთესონი, გააშავეთ უვარვისნი“³² – ასეთია დევიზი, რომელსაც საგაზიეთო ენა მისდევს.

ჩვენ მიერ მოძიებული მსაზღვრელ/ეპითეტები შეგვიძლია დავყოთ ორ დიდ ჯგუფად (დადებითი და უარყოფითი მახასიათებლით) და გამოვყოთ ქვეჯგუფები სემანტიკური ნიშნით.

1. დადებითი:

სიდიდის კატეგორია:

დიდი (ველიკიй-აქ-ოე) ეპოქა /პერსპექტივები/მომავალი/მოვალეობის (დაკისრება)/ კმაყოფილება (დახვრეტის განაჩენით)

³² გაზეთი „კომუნისტი“, №76(4535), 1936, 2 აპრილი.

რუსუდან კობახიძე

დიადი (ველიკიი-აა-oe) პარტია /სამშობლო/გამარჯვებები/მაგალითი/მოძღვრება/საოქ-
ტომბრო სიმფონია(ორდენოსანი საქართველოს სიხარული/ მიღწევები) (მეტაფორა)
უდიდესი მუშაობა/წარმატებანი
უმაღლესი საფეხური
გრანდიოზული პერსპექტივები/წარმატებები/მუშაობა
გიგანტური წინსვლა
მაღალი კულტურული დონე/მოსავლიანობა
თვალუწვდენელი სამშობლო
ფართო გასაქანი/მასშტაბი
უსაზღვრო ერთგულება/სიყვარული/შესაძლებლობა/განვითარება/ნდობა
მზარდი მრეწველობა/სოფლის მეურნეობა
გაორკეცებული ძალ-ღონე
უხვი მოსავალი.
ერთიანი, მრავალეროვანი, მრავალენოვანი საბჭოთა ხალხი
გენიალური წინამძღოლობა

ძალის კატეგორია:

მძლავრი გამოხმაურება/მოძრაობა (სტახანოვური)/ზრდა/გაშლა (სტახანოვური მოძ-
რაობის)/რეზერვი/დროშა/გუგუნი/სოციალისტური ინდუსტრია/ ბურჯი (წითელი არმია) /
ჩვენი მძლავრი საბჭოთა ქვეყანა
ძლევამოსილი კომპარტია /მშენებლობა/ზრდა (პროლეტარული სახელმწიფოს)
კატეგორიული დირექტივები
სასტიკი ინდივიდუალური შერჩევა
გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა
შეურიგებელი ბრძოლა
დაუნდობელი ბრძოლა/განადგურება
დაუნდობელი და გადამწყვეტი ბრძოლა
გამანადგურებელი ლაპვარი
შეურყეველი ძალა
ურყევი, უძლეველი საბჭოთა ქვეყანა
უძლეველი დროშა/დარაჯი (წითელი არმია)
მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი
მედგარი თანამებრძოლი
მტკიცე რწმენა
შეტევითი სიფხიზლე
წარბშეუხრელი მოლოდინი

წარმატების კატეგორია:

ფრიადოსნები/საბრძოლო მომზადების ფრიადოსანი
დამკვრელი კოლმეურნებები

სოციალისტური შრომის საუკეთესო გმირები
საუკეთესო საექიმო მომსახურება/პროპაგანდისტები/პედაგოგები
ყველაზე მოწინავე ხელოვნება მთელ მსოფლიოში
უნიჭიერესი მხატვრები
შესანიშნავი მუსიკოსები
უძვირფასესი კაპიტალი (ადამიანები)
სახელოვანი ახალგაზრდობა/ისტორია
მოწინავე რაზმი/ინტელიგენცია/სკოლა/ადამიანები
თავდადებული მუშაობა
თვალსაჩინო მიღწევები
აქტიური მუშაობა
ავანგარდული როლი
უაღრესად კულტურული სოციალისტები
სანიმუშო მოვლა/ადამიანები

მშვენიერის კატეგორია

ბრწყინვალე მომავალი/პერსპექტივები/დოკუმენტი(კონსტიტუცია)/შესრულება
/გამარჯვებები
მშვენიერი სოციალისტური სამშობლო
ჯანსაღი ატმოსფერო
პარტიის ჯანსაღი სხეული
აღორძინებული საქართველო
აყვავებული ქალაქები
ძლევამოსილი მშვენიერი გზა
წარმტაცი სიმფონია (მეტაფორა)
კაშკაშა ვარსკვლავი (მეტაფორა)
ნათელი ჩირალდანი (მეტაფორა)
უძვირფასესი განძი (სტალინური კონსტიტუცია) (მეტაფორა)
თავგამოდებული მუშაობა (შინსახვობის)

ემოციის კატეგორია:

მხურვალე ბოლშევიკური სალამი
ენთუზიაზმის ცეცხლით ანთებული ადამიანები
მქუხარე ტაში/ოვაცია
აღფრთოვანებული მომღერალი
მრისხანე და ულმობელი საბჭოთა ხალხი
სასიამოვნო ცნობა (გარეწართა დასჯის შესახებ)

რუსუდან კობახიძე

მორალური უპირატესობის კატეგორია:

ნამდვილად დირსეული, მოწინავე კომუნისტები
ენერგიული და მომზადებული კომუნისტი
გმირი ხალხი
შეგნებული ცხოვრება
მოწინავე მუშა-ქალები
საპატიო სახელი
მკაფიო და ნათელი მითითებანი და დირექტივები
სახელოვანი და საამაყო ქართველი ხალხი
ნამდვილი ზრუნვა (ადამიანზე)
ნამდვილი დემოკრატია
საუკეთესო მეთაური/წარმომადგენლები/შედეგი

მნიშვნელოვნობის კატეგორია:

ისტორიული გადაწყვეტილებანი/დღე/დადგენილება/ წარმატებები
უმნიშვნელოვანესი ამოცანა/ნიშანსვეტი/მუშაობა
აუცილებელი პირობა

ბედნიერების კატეგორია:

მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანები
საამური, ბედნიერი, მდიდრული ცხოვრება
საამური ცხოვრება
ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი თაობა
სახალხო ბედნიერების კონსტიტუცია

უწყვეტობის კატეგორია

განუწყვეტელი ზრდა
განუხრელი ზრდა
განუხრელი განხორციელება
დაუღალავი შრომა

სიახლის კატეგორია

ახალ-ახალი გამარჯვებებია/მიღწევები
ახალი ადამიანი
ისტორიის სრულიად ახალი ფურცელი
ახალი, ფართო ჰორიზონტები

მშობლიურის კატეგორია

მშობლიური მზრუნველობა (პარტიის, სტალინის)

ძმური სალამი

პარტიის ერთგული შვილი

ერთგული რაზმი

უარყოფითი:

საზიზღარი გამცემლები/ვარაუდი/საშუალებები/ქვეწარმავალნი/მოქმედება/კამპანია/ მკვლელები/მკვლელობა

ყველაზე ბილწი, ყველაზე საზიზღარი საშუალებები

საზიზღარი თვალითმაქცები

საზიზღარი, მუხანათური მეთოდები

უსაზიზღრები თვალითმაქცობა

საძაგელი შენიღბვა

ბოროტი ზრახვები

გაბოროტებული სიძულვილი

კლასობრივი მტრის გაბოროტებული ნაშთები

გათახსირებული მოლალატე მენშევიკები

შავბნელი საქმიანობა/წარსული

ბნელი წარსული

შავბნელი, მოლალატური და დამარღვეველი მუშაობა

სამარცხვინო ნაბიჯი/ადგილი/ნიმუშები/ისტორია/შეცდომა/ჩამორჩენა

აღმაშფოთებელი ფაქტები

აღვირახსნილი თარეში

შეუწყისარებელი უდარდელობა

შეგნებული მავნებლობა

დაუძინებელი მტრები

მიტმასნილი უცხო ელემენტები

მიტმასნებული, გახრწნილი და პარტიისთვის მავნე ადამიანები

გამოაშკარავებული თვალითმაქცი (თ. ფოცხიშვილი)

გადაგვარებული

მახინჯი მოვლენები/სული და სახე

სულით მახინჯები

მტრული და უცხო ელემენტები

მტრულად განწყობილი ელემენტები

გაიძვერა და ბილწი მტერი

ულირსი საქციელი

გააფთრებული წინააღმდეგობა

დამპალი კონცეპცია (ბუხარინის)

კოშმარული მდგომარეობა

რუსუდან კობახიძე

პოლიტიკური არარაობა
პროვოკატორული თამაში
სოციალიზმის სამშობლოს გამყიდველი
მზაკვრული, გამცემლური მოქმედება
ძირგამომთხრელი ფარული მუშაობა
მოსყიდული აგენტები
მუხანათური მოქმედება
პირსისხლიანი ტროცკისტ-ბუხარინელები
ჯაშუშური, დივერსიული, გამცემლური, საზიზღარი, სამარცხვინო საქმიანობა
არამზადები, ქვეწარმავალნი
არამზადა და სალახანა
გამოუსწორებელი ტროცკისტი (ბუდუ მდივანი)
პოლიტიკური ქამელეონი (მ. ოკუჯავა (მეტაფორა))
ოსტატური შენილბვა
ნიღაბოსანი (მალაქია)
ცოფმორეული ბოროტება
გაცოფებული ქოფაკი (ჩიხლაძე)
გაცოფებული ქოფაკები
ცოფიანი ძალები
გაცოფებული ბურუუაზია
გესლიანი ხითხითი და მანჯვა-გრეხვა
ხალხის მოსისხლე მტრები
გაუმაძლარი, გააფთრებული გაბოროტება
უპრინციპო პოლიტიკური ავანტურისტები
ბინძური კონტრრევოლუციური საქმე
ბინძური, შავბნელი მეთოდები
ბინძური ნესტარი (მეტაფორა)
ბანდიტური არალეგალობის აშმორებული სუნი
მგლური გაბოროტება
კონტრრევოლუციური ნაძირალა
ომის გონებადაკარგული გამჩაღებლები
ბანდიტური ხროვა
კონტრრევოლუციის ქოფაკი ძალები
მტერთა უბადრუკი ნამსხვრევები
უმსგავსი ტროცკისტები
აღვირახსნილ თეთრგვარდიელთა ჭაობი
პოლიტიკურად ბრმანი
გაშიშვლებული ნაციონალისტური ელემენტები
მავნებელი, პროვოკატორი, მზვერავი
დამპალი ლიბერალიზმი
თვითბანდიტური ოინები
უცხო ადამიანები

უცხო ელემენტები

მაამებლობისა და მლიქვნელობის ატმოსფეროში ყელამდე ჩაფლული მინდიაშვილი ობერ-ბანდიტი ტროცკი

ცუდი მუშაობა

ნელი და უხარისხო მშენებლობა

არცთუ იშვიათად გამოიყენება ბარბარიზმები: პორაჟენცები, უულიკები, აფერისტები.

როგორც ვხედავთ, უარყოფითი ეპითეტების განმსაზღვრელი უმრავლესობა მორალური კატეგორიისაა. ხშირია კვაზიეპითეტის წარმოება ემოციური სიმძაფრის მისაღწევად. არცთუ იშვიათად იქმნება მეტაფორები.

ადვილად შესამჩნევია, რომ ყველა კატეგორიის ეპითეტში ჭარბობს აღმატებითი ხარისხით ნაწარმოები ზედსართავები, ან უკიდურესი ვითარების გამომხატველი ლექსიკა. ეს კიდევ უფრო ჭიმავს ოპოზიციური წყვილების დამაპირისპირებელ ძაფს.

დადებითი კონტაციის შემცველი ეპითეტების აბსოლუტური უმრავლესობა კომუნისტური იდეისა და სახელმწიფოს მშენებლებს მიესადაგებათ. უარყოფითი – ცხადია, ამ სახელმწიფოსა და იდეოლოგიის მტრებს. ყველაფერი, რაც კარგია, საუკეთესოა, დიადია, უძვირფასესი და უბედნიერესია, იდეოლოგიური ნიშნითაა გამორჩეული. იდეოლოგიური ნიშნითაა გაყოფილი „კარგი-ცუდის“ კატეგორია, შესაბამისად, ერთ პოლუსს მოწინავე ბოლშევიკები იკავებენ, მეორეს – ანტიბოლშევიკები და არა არაბოლშევიკები, ეს ნიშა ცარიელია. ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც კომუნიზმის დიად აღმშენებლობაში არაა ჩართული, დასაგმობია, ზიზლის ობიექტია. ავტომატურად „ანტია“ და შესაბამისად „ვიღაცისტი“.

იქმნება ოპოზიციური წყვილები:

დიადი/გრანდიოზული – ელემენტები (აქცენტი გაკეთებულია სიმცირეზე)

მძლავრი/ძლევამოსილი – უბადრუკი

საყვარელი – საზიზღარი

მშობლიური – უცხო

წარმატებული – წარუმატებელი

ბედნიერი – უბედური

ნიშანდობლივია, რომ დადებით კონტექსტში ყველაზე პროდუქტიული ეპითეტია „მძლავრი“ და „დიადი“. ეს მიანიშნებს, რომ მთავარი აქცენტი სწორედ ბოლშევიკური მმართველობის სიძლიერეზე და ყოვლისმომცველ სიდიდეზე გადის. მათი პოზიტიურ კონტექსტში მიწოდების მიუხედავად, ეს მოვლენა აშკარად შეიცავს თავსმოხვეული დირექტივისა და შესაბამისად, ფსიქოლოგიური ზეწოლის ნიშნებს.

თვალნათლივ ჩანს, რომ საგაზეთო ენა ქმნის ვირტუალურ რეალობას, სადაც იდეოლოგიური ხაზის სისწორე-არასწორობაზე გადის ყველა სხვა მორალურ-ეთიკური კატეგორია. მკაფიოდ ჩანს რელიგიური ფორმულებისა და მონარქიული აბსოლუტიზმისათვის დამახასიათებელი დირექტიულობის გამოყენება. იშვიათად, მაგრამ გვხდება რელიგიური ტერმინების გამოყენებაც – სამგზის საზიზღარი, სამგზის წყეული მტრები, რევოლუციური ნათლობა, სოციალისტური სამშობლოს წმინდა მიწა, იუდური ამბორი.

მთლიანობაში, „დადებითი“ და „ზეაღმატებული“ ეპითეტების გამოყენების სიხშირე გაცილებით დიდია, ვიდრე „უარყოფითისა“, მიუხედავად იმისა, რომ დადებითი ველის ლექსიკა მწირია, პრიმიტიულად სწორხაზოვანი და არამრავალფეროვანი, უარყოფითის

კი ლექსიკური მრავალფეროვნებითა და ემოციური მუხტით გამოირჩევა.

მთლიანი სურათი ასე იხატება: გრანდიოზული აღმშენებლობის პირობებში ცხოვრება საამურია, ყველა მშრომელი ბედნიერია, მხოლოდ მცირე, უცხო ელემენტები წარმოადგენენ საფრთხეს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განეიტრალდეს. დიადი და ყოვლისმომცველი საბჭოთის საპირისპირო მხარეს დგანან მხოლოდ „უცხო ელემენტები“, „კონტრრევოლუციური ელემენტები“. „დიადის“ საპრისპიროდ გამოდის „უბადრუკი, არარა, უმნიშვნელო ჯგუფი“, ხოლო „მშობლიურისა“ – „უცხო“. მასებში ამ განწყობის ინდოქტრინაცია ხდება სწორედ იდეოლოგებური ენობრივი კატეგორიების მასობრივი ინტერვენციით. ეს შეტევითი ინტერვენცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში აყალიბებს ხელისუფლებისათვის მისაღებ ვირტუალურ რეალობას – ურთიერთდაპირისპირებული ცნებებით ამოვსებულ რეალობას, რაც უადვილებს ხელისუფლებას შეუზღუდავი ოპერირებისათვის მასობრივი მხარდაჭერა მოიპოვოს.

საბჭოთის დანგრევის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი ეპითეტების უმეტესობა ენობრივი სხეულიდან განიდევნა – პარტიული იდეოლოგებები ბუნებრივად გაქრა, მხატვრულ ეპითეტთა უმრავლესობა გაცვდა, ტრაფარეტად იქცა და ხმარებიდან ამოვარდა, თუმცა, ჩვენი აზრით, ძირეული სემანტიკური ფორმულა – პრიმიტიული, მკვეთრად პოლარიზებული დიქოტომია ჯერაც მყარად ზის საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან დღემდე სახელისუფლო წრეების სამეტყველო ენაში მრავლადაა საბჭოთა ენისათვის დამახასიათებელი დისკურსი. პირველი ეროვნული მთავრობა აქტიურად იყენებდა იარლიყს „კაგებეს აგენტი“, „ხალხის მტერი“, „მოღალატე“, „პროვოკატორი“.

ის სიძულვილის ენა, რომელიც აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმისათვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოურის იდენტურია. ამ პოლიტიკურმა კლასმა გააცოცხლა და წარმოებაში გაუშვა გაცვეთილი, პრიმიტიული ეპითეტები და მეტაფორები: „სისხლიანი რეჟიმი“, „პირსისხლიანი ჯალათები“, „სისხლსმსმელები“, „ფაშისტები“, „მკვლელები“, „ბოროტები“, „ბერბიჭაშვილები“. აქტიურად გამოიყენება ლექსემა „ქართველი ხალხი“, რომელმაც „საბჭოთა ხალხი“ ჩაანაცვლა. გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე დღესაც ყვავის ანაქრონისტული გამონათქვამები: „დამპალი ლიბერალიზმი“, „გახრწილი დასავლეთი“.

ფაქტია, რომ ეს იდეოლოგიზირებული პროდუქტი ჯერაც იყიდება. საზოგადოებრივი ცნობიერება ისევ ექცევა ამ დრომოქმული მანიპულაციების გავლენის ქვეშ. ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ, რომ ის ძირითადი სემანტიკური ფორმულა, რომელიც კომუნისტურ რეჟიმში ჩამოყალიბდა და საზოგადოების ცნობიერებაში ორპოლუსიანი რეალობის ილუზია შექმნა, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, დღევანდელი პოლიტიკური ენის ამ კუთხით კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება ტოტალიტარულ წარსულთან გამკლავების გარეშე შეუძლებელია.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, რომ ქართული საბჭოთა პერიოდის საგაზეთო ენა (რომელსაც უშუალოდ მიჰყვება რუსულს) სახელისუფლებო პროპაგანდის იდეოლოგიური წნევის ქვეშ ყალიბდებოდა. ის ტერორის უშუალო იარაღად იქცა 1937-1938 წლების პრესაში. ეს პროცესი რამდენიმე კუთხით განხორციელდა:

1. ქართული პრესის ლექსიკური ფონდი ივსება საკავშირო (რუსული) პრესიდან ნათარგმნი ლექსიკით;
2. ზემდგომი ორგანოების მითითებით ის „თავისუფლდება“ „წკრიალა ფრაზებისაგან“ ხდება ინფორმაციის მშრალად მომწოდებელი;
3. მთლიანად თანხვდება სკუპ პროპაგანდას;
4. ენა სწორდება პარტიული თავების, პირველ რიგში, ლენინისა და სტალინის ნაშრომების მიხედვით, რაც მასში უპრეცედენტო რაოდენობისა და სიხშირის იდეოლოგიურად დატვირთული ლექსიკის ინტერვენციით მიმდინარეობს;
5. ინფორმაცია მთლიანად თავსდება შეფასებით კატეგორიაში, რომელიც პარტიული ელიტის ხედვების იდენტურია;
6. შეფასებითი ხაზი ორპოლუსიანი, უკიდურესად კონტრავერსული რეალობის შექმნაზე გადის. ამისთვის გამოიყენება ენაში ბინარული ოპოზიციური წყვილების ჩანერგვა და მათი გაზიარების მოთხოვნა;
7. ამ იდეოლოგიურმა ინტერვენციამ, რომელმაც ორპოლუსიანი სემანტიკური ოპოზიციური წყვილების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, სიტყვის სემანტიკური ტრანსფორმაცია გამოიწვია. ლექსიკის ნაწილის გამომხატველობითი ველი დავიწროვდა და კონკრეტული პარტიული პროპაგანდის შინაარსს მოერგო;
8. კომუნისტური ნიუსფიქი ტერორის იარაღი ხდება. სიტყვა იწყებს ტყუილის გამოხატვას. ენა გამოიყენება ვირტუალური რეალობის შესაქმნელად. ეს რეალობა ადამიანებსა და მოვლენებს ყოფს ორ ნაწილად: „უკიდურესად ცუდებად“ და „უკიდურესად კარგებად“. ეს კი ხელს უწყობს ცნობიერებაში ორპოლუსიანი ფორმულის ჩამოყალიბებას, მოვლენების შავ-თეთრად აღქმასა და მიღებას;
9. როცა იდეოლოგია მარცხდება, იდეოლოგების აურაცხელი სიმრავლე, რომლის ექსპანსიაც ენაში განხორციელდა, ქრება, მაგრამ ცნობიერებაში რჩება დიქოტომიური სტრუქტურა, სიძულვილისა და აღფრთოვანების წყურვილი, გაზვიადებისა და ფეტიშისადმი მიღრეკილება, რაც თანამედროვე საზოგადოებაში ჯერ არაა დაძლეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, აკაკი. 2019. მწერლობის მოთვინიერება. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

Brandenberger, David. 2011. *Propaganda State in Crisis: Soviet Ideology, Indoctrination, and Terror Under Stalin, 1927-1941*. New Haven, CT: Yale University Press.

- Cioflâncă, Adrian. 2010. The Communist Propagandistic Model Towards A Cultural Genealogy. *Romanian Political Science Review*, no.3(X), 406-482.
- Kenez, Peter. 1986. *The Birth of the Propaganda State. Soviet Methods of Mass Mobilization, 1917-1929*. Cambridge: Cambridge University Press.
- Natalia E. Gronskaya. Valery G. Zusman and Tatiana S. Batishcheva, "Totalitarian Language: Reflections of Power (Russian, German, Italian Case Studies)," in Autorità e crisi dei poteri, ed. P. B. Helzel and A. J. Katolo (Padua: Milani. Casa Editrice Dott Antonio, 2012)277-289.
- Thom 1989: Thom, Françoise. 1989. Newspeak: The Language of Soviet Communism (La langue de bois). London – Lexington: Claridge Press.
- Young, John Wesley. 1991. *Totalitarian Language: Orwell's Newspeak and Its Nazi and Communist Antecedents*. Charlottesville, VA: University Press of Virginia.
- Ахизер, Александр. 1993. Россия, как большое общество. *Вопросы философии*, no. 1. http://vphil.ru/index.php?option=com_content&task=view&id=542&Itemid=55 (06.08.2010)
- Бердяев, Николай. 1955. *Истоки и смысл русского коммунизма*. Париж: Репринтное воспроизведение издания YMCA-PRESS.
- Кегеян, Светлана. 2009. *Лингвогориторические параметры политического дискурса (на материале текстов идеологов большевизма)*. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Москва (Московский государственный педагогический университет)
- Купина, Наталия. 1955. *Тоталитарный язык: словарь и речевые реакции*. Екатеринбург, Пермь: Издательство Уральского университета.